

პრესრელიზი

საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის გენერალური დირექტორის ინიციატივით კომპანიის გამორჩეული თანამშრომლები გამოვლინდნენ



საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის გენერალურმა დირექტორმა ლევან ვეფხვაძემ ნოემბრისა და დეკემბრის თვის საუკეთესო თანამშრომლებს მადლობის სიგელები გადასცა და გაწეული შრომისთვის მადლობა გადაუხადა.

ნოემბრის თვის საუკეთესო თანამშრომლის ტიტული ალაზან ჰესის მართვის ფარის ოპერატორმა ავთანდილ ექსელიძემ დაიმსახურა, რომელიც მაღალი პროფესიონალიზმით და შრომისმოყვარეობით გამოირჩევა. ერთერთი მთავარი

კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც იგი კომპანიის რჩეული გახდა, ოპერატიული მუშაობისას სწრაფი რეაგირების, კერძოდ სისტემის ოპტიმალური მუშაობის რეჟიმების შერჩევის უნარია.

დეკემბრის თვის გამარჯვებული კი ბჟუჟა ჰესის მთავარი ინჟინერი ზაზა ჟღენტია, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო 5 ტრანსფორმატორის შრობა-აღდგენის სამუშაოებში და ტირისტორული აღზნების სისტემის დანერგვაში. საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის გენერალური დირექტორის ინიციატივით, მთელი წლის განმავლობაში, კომპანიაში თვის საუკეთესო, გამორჩეული და პროფესიონალი თანამშრომელი გამოვლინდება.



პრესრელიზი



კორპორაცია" (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. ამჟამად ჯი-აი-ჯი კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

